საიდ. №72224/03

IR 1156597

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №77-03/14

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: მ. ფრუიძე (თავმჯდომარე), გ. დუდუჩავა, ლ. კერესელიძე, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა კომპანიის „სილაგ გმბჰ ინტერნაციონალ" („Cilag GmbH International") სააპელაციო საჩივარი (საიდ. №77-03/14), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის" სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 15 აპრილის საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ №766/03 ბრძანების ბათილად ცნობა და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „ДОКТОР МОМ" (საიდ. №72224/03 IR 1156597) დაცვის მინიჭება საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (მე-5 კლასი).

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 15 აპრილის №766/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი კომპანიის „სილაგ გმბჰ ინტერნაციონალ" („Cilag GmbH International") (მის: Landis+Gyr-Strasse 1, CH-6300 Zug) კუთვნილი სასაქონლო ნიშანი "ДОКТОР МОМ" მსგავსია კომპანიის „სილაგ გმბჰ ინტერნაციონალ" ("Cilag GmbH International; Landis+Gyr- Strasse 1, CH-6300 Zug, Switzerland") სახელზე მე-5 კლასის მსგავსი საქონლისათვის საქპატენტში რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნებისა: "DOKTOR MOM" (რეგ. №16855; რეგ თარ. 2006-09-14.); "ДОКТОР МОМ" (რეგ. №16856; რეგ თარ. 2006-09-14); "DOKTOR MOM" (რეგ. №16857; რეგ თარ. 2006-09-14.); "ДОКТОР МОМ" (რეგ. №16858; რეგ თარ. 2006-09-14), რაც ქმნის მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას. აღნიშნულის გამო „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის თანახმად, განცხადებულ საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე.

აპელანტი კომპანია „სილაგ გმბჰ ინტერნაციონალ" არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, დაპირისპირებული ნიშნების მფლობელმა კომპანიამ შეიცვალა მისამართი შემდეგზე - „გუბელშტრასე 34, CH 6300 ცუგი, შვეიცარია", რის შესახებაც საქპატენტში შეტანილია განცხადება მისამართის ცვლილების შესახებ. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 15 აპრილის საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ №766/03 ბრძანების ბათილად ცნობას და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „ДОКТОР

MOM” (საიდ. №72224/03 IR 1156597) დაცვის მინიჭებას საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა”.

საქპატენტის სასაქონლო ნიშნების მონაცემთა ოფიციალურ რეესტრში 2014 12 ივნისს და 2014 წლის 07 აგვისტოს დაფიქსირებული ცვლილების შესაბამისად კომპანიამ „სილაგ გმბჰ ინტერნაციონალ” მისამართით - „ლენდის გირ შტრასე 1, CH-6300 ცუგ შვეიცარია“ (Landis+Gyr- Strasse 1, CH-6300 Zug, Switzerland) შეიცვალა მისამართი შემდეგზე: „გუბელშტრასე 34, CH 6300 ცუგი, შვეიცარია“ (Gubelstrasse 34, CH-6300 Zug, Switzerland). აღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით, განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები ეკუთვნის ერთი და იგივე კომპანიას, შესაბამისად, არ მოხდება სასაქონლო ნიშნების აღრევა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებს და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „ДОКТОР МОМ” (საიდ. №72224/03 IR 1156597) დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძველიც არ არსებობს.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა” ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „სილაგ გმბჰ ინტერნაციონალ” („Cilag GmbH International”) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 15 აპრილის №766/03 ბრძანება საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ.
3. საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „ДОКТОР МОМ” (საიდ. №72224/03 IR 1156597) მიენიჭოს დაცვა საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.
4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: მ. ფრუიძე

წევრები:

ლ. კერესელიძე

გ. დუდუჩავა